პროლეტარიელნო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1979 წელი
პარასკევი
14 დეკემბერი
№ 287 (17632)
ფასი 2 კაპ.

ავანგარდშია ახალგაზრდობა

ექთილი სიტყვით იხსენიებენ ახალგაზრდა ტრაქტორისტს ამირან ჯანაევს ცხინვალის რაიონის სოფელ ვანათის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობაში. მისი ტრაქტორი ყოველთვის წესრიგშია, მექანიზატორი სისტემატურად აჭარბებს დღიურ დავალებებს და სოციალისტური შეჯიბრების მოწინავეთა რიგებშია.

ა. ჯანაევმა სამხედრო სამსახური მოიხადა და კვლავ მშობლიურ სოფელს, თავის ტრაქტორს დაუბრუნდა. ახლა საბჭოთა მეურნეობის სხვა მექანიზატორებთან ერთად იგი ამზადებს ტექნიკას საგაზაფხულო მინდვრის სამუშაოებისათვის.

სურათზე: ვანათის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობის მექანიზატორი ამირან ჯანაევი.

ლ. გუსოვის ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

საქართველოს სსრ მეათე მოწვევის უმაღლესი საბჭოს არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ

„საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ საქართველოს სსრ კანონის 23-ე და 24-ე მუხლების საფუძველზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

დამტკიცდეს საქართველოს სსრ მეათე მოწვევის უმაღლესი საბჭოს არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისია საზოგადოებრივი ორგანიზაციების და შრომითი კოლექტივების შემდეგი წარმომადგენლებისაგან:

ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე

ჯოხაძე შოთა კონსტანტინეს ძე — თბილისის საწარმოო გაერთიანება „საქელთნმანქანის“ ს. ორჯონიკიძის სახელობის მეთაური საწარმოს მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეებისაგან.

ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე

კვაჭაძე ზინაიდა არსენის ასული — საქართველოს პროფესიული კავშირების რესპუბლიკური საბჭოსაგან.

ცენტრალური საარჩევნო კომისიის მდივანი

ხაბეიშვილი ხოლიკო ევტიხის ძე — საქართველოს კულტურის მუშაკთა პროფესიული კავშირისაგან.

ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრები:

ალანია იზაბელა მიხეილის ასული — საქართველოს ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირის ცხაკაიას რაიონული ორგანიზაციისაგან;

გუბა გიორგი ალექსანდრეს-ძე — რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მილსაგლინავი საამქროს მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეებისაგან;

გულევიჩი ვლადიმერ ლეონტის ძე — ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის პოლიტიკური სამმართველოსაგან;

გურგენიძე ნელი ვლადიმერის ასული — ქალაქ თბილისის კომუნისტური ორგანიზაციისაგან;

დავითაშვილი მიხეილ დანიელის ძე — „საბჭოთა სოფლის ცხოვრების“ რედაქციის კოლექტივისაგან;

დურმიშიძე სერგო ვასილის ძე — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კოლექტივისაგან;

კარახანიანი შმავონ ილიშეს ძე — ახალქალაქის რაიონის სოფელ დილისკის კოლმეურნეობის კოლმეურნეებისაგან;

მამედოვი ვაქილ მაგამედოღლი — სახელმწიფო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის ბოლნისის რაიონული ორგანიზაციისაგან;

მამესწარაშვილი ლია ვლადიმერის ასული — გორის ბამბეულის საწარმოო გაერთიანების № 1 საქსოვი ფაბრიკის მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეებისაგან;

მარკოზაშვილი მზია ედუარდის ასული — საქართველოს ახალგაზრდათა ლენინური კომუნისტური კავშირის თელავის რაიონის სოფელ სანიორის კოლმეურნეობა „მეგობრობის“ პირველადი ორგანიზაციისაგან;

პარასტაევა აზა პავლეს ასული — ცხინვალის სამკერვალო ფაბრიკის მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეებისაგან;

ფალავა ციური ოსმანის ასული — ბათუმის № 2 საავადმყოფოს მედკოლექტივისაგან;

შამბა ზაირა ანატოლის ასული — სოხუმის № 10 საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივისაგან;

ჭალაღანია ჰამლეტ ალექსანდრეს ძე — ქუთაისის ელექტრომექანიკური ქარხნის მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეებისაგან.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1979 წლის 13 დეკემბერი.

რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს სესია

12 დეკემბერი. (ტასი). ქრემლის დიდ სასახლეში რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს სესიის მუშაობის [illegible] ... [illegible] ... [illegible] მუშაობა. [illegible] ... [illegible] ... [illegible] ...

ქალაქი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის, საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის დეპუტატ დ. ლ. ჭართველიშვილისა და საქართველოს სსრ ფინანსთა მინისტრის დეპუტატ ფ. ა. ანანიაშვილის მოხსენებათა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივი საგეგმო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის დეპუტატ ზ. ა. ჩხეიძის თანამოხსენების გამო

დეპუტატ ბ. ი. ხარებავას

სიტყვა

ქალაქ ქუთაისის მშრომელები მაღალი შრომითი და პოლიტიკური აქტივობის ვითარებაში ამთავრებენ მეათე ხუთწლედის შეოთხე წელს. სახელმწიფო გეგმა ქალაქის მრეწველობამ სწორედ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეორე სესიის გახსნის დღისათვის გაანაღდა. მარტო მიმდინარე წლის თერთმეტი თვის დავალება 12,5 მილიონი მანეთის გადაჭარბებით შესრულდა.

ქალაქის მრეწველობა უკვე სამი წელია ჩამორჩენილების გარეშე მუშაობს. ქართველ ავტომშენებელთა კოლექტივმა, რომელმაც ვადამდე, 25 ნოემბერს შეასრულა ოთხი წლის გეგმა, სახალხო მეურნეობას 17 მილიონზე მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია მიაწოდა. გაუმჯობესდა ყველა ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებელი და ქარხნის კოლექტივი ინარჩუნებს პირველ ადგილს დარგის საწარმოთა შორის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში.

დღეს სერიოზული ამოცანები აკვეთება რესპუბლიკის მშრომელთა წინაშე 1980 წლისათვის, ასევე დაძაბულად წარიმართა ხუთწლედის დამამთავრებელი წლის გეგმის ფორმირება ქარხნისათვის. ამ გეგმის შესაბამისად 1980 წელს წარმოების მოცულობა 2,9 პროცენტით გაიზრდება, რაც ხუთწლედში მოგვცემს ზრდას 36,7 პროცენტით დაგეგმილი 27,7 პროცენტის ნაცვლად. შესაბამისად უზრუნველყოფილია ყველა სხვა ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების გაუმჯობესება. მარტო ავტომატარებლების გამოშვების გეგმა გადიდდება ასობით ერთეულით. ქარხნის კოლექტივი ყოველ დღეს ცდილობს, რათა წარმატებით გადაწყვიტოს მნიშვნელოვანი და საპატიო ამოცანა — სასოფლო-სამეურნეო საჭიროებისათვის მაღალი გამავლობის ორი წამყვანხიდიანი 11-12 ტონა ტვირთამწეობის ავტომატარებლის ათვისების სახით. ქარხნის კონსტრუქტორებმა მოსკოველ, ბარნაულელი და ბალაშოველ მეცნიერ-კონსტრუქტორებთან ერთად შექმნეს ზემოთ აღნიშნული ავტომატარებლის საბაზო მოდელის კონსტრუქცია. ამჟამად რამდენიმე საცდელი ნიმუში ყოველმხრივ გამოცდას გადის.

გათვალისწინებულია ფირფიტა გაიშალოს რეკონსტრუქციის, სამრეწველო სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების, ბინათმშენებლობა, პოლიკლინიკის, პიონერთა ბანაკის, სპორტული კომპლექსის, საბავშვო ბაღების მშენებლობები და სხვა. ორჯერ გაიზრდება ქარხნის საწარმოო ფართობი და წარმოების მოცულობა.

დეპუტატმა დაასვინა რამდენიმე საკითხი, რომლის გადაწყვეტა ხელს შეუწყობს გეგმის დროულად შესრულებას: კერძოდ, რკინიგზის ტრანსპორტის გამართულ მუშაობაზე, ქალაქ ქუთაისის კეთილმოწყობისათვის დაგეგმილ სამუშაოებზე, სპორტული ბაზების მშენებლობაზე და სხვა.

დეპუტატ ბ. ბ. ბამცეიშვილის

სიტყვა

თანამედროვე ეტაპზე ფართო მოხმარების საქონლის წარმოება არა მარტო სამეურნეო, არამედ პოლიტიკური მნიშვნელობის ამოცანაა. ჩვენი პარტიის ეს კურსი ყველგან დაადასტურა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმმა. დიდი ამოცანები დაისახა ფართო მოხმარების საქონლის წარმოების გადიდების, ასორტიმენტის გაფართოების და ხარისხის გაუმჯობესების დარგში.

ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა თავის გამოსვლაში უაღრესად მკაცრი შეფასება მისცა ფართო მოხმარების საქონლის ძირითადი წარმოებელი დარგის — საკავშირო მრეწველობა მრეწველობის სამინისტროს საქმიანობას. საკავშირო სამინისტროს მისამართით გამოთქმული ეს სამართლიანი კრიტიკა ჩვენც სავსებით უნდა გავიზიაროთ.

ამიტომ იყო, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XVIII პლენუმზე საქართველოს მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს ხელმძღვანელობის უურადღება მიეპყრო ჩვენს სამეურნეო საქმიანობაში ჯერ კიდევ არსებულ მნიშვნელოვან ნაკლოვანებებს.

მომავალი წლის პროგრამა ითვალისწინებს ბამბეულის ნართის გამოშვების ზრდას 119,2 პროცენტით, ბამბის ქსოვილებისა — 139 პროცენტით, დეფიციტური საქონლის წარმოების გაფართოებას. კერძოდ, გათვალისწინებულია 4,6 მილიონი წყვილი სამავშვო კოლოტების გამოშვება, რაც მიმდინარე წლის დონესთან შედარებით 50 პროცენტითაა გაზრდილი. საგრძნობლად გაფართოვდა ბამბის ბოჭკოსაგან დამზადებული ფართო მოხმარების საქონლის წარმოება და ასორტიმენტი, გაუმჯობესდება პროდუქციის ხარისხი. მომავალ წელს ხარისხის სახელმწიფო ნიშნით გამოშვებული იქნება 1.100 დასახელების ნაწარმი.

შემდეგ დეპუტატმა ილაპარაკა სამეცნიერო-ტექნიკურ პროგრესზე, მის გადაჭრისადმი კომპლექსურ მიდგომაზე, მეცნიერებათა მჭიდრო თანამშრომლობაზე, რაც საბოლოოდ ხელს შეუწყობს დარგის მუშაკებს წარმატებით გადაწყვიტონ მათ წინაშე დასახული დიდი ამოცანები.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის და პირადად ამხანაგ ე. ა. შევარდნაძის უშუალო დახმარებით «გადაწყდა მომავალ წელს თბილისის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანების ახალი საწარმოო კორპუსის მშენებლობა ავჭალის გზატკეცილზე.

მომავალ წელს დაიწყება მეორე მნიშვნელოვანი ობიექტის — სარხერის ბამბის სართავი ფაბრიკის მშენებლობა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე ჩვენი სამინისტრო სავსებით სწორად გააკრიტიკეს იმის გამო, რომ ჩვენ დროზე არ ვიზრუნეთ ზუგდიდის ფაიფურის ქარხანაში მუშაობა კადრების მომზადებაზე, მათ კვალიფიკაციაზე. ჩვენ გვმართებს შესაბამისი დასკვნები გამოვიტანოთ ამ კრიტიკიდან.

დეპუტატ ლ. ვ. ბარბაქაძის

სიტყვა

ხაშურის რაიონის მშრომელებს გარკვეული წარმატებები აქვთ მეათე ხუთწლედის დავალებათა შესრულების საქმეში. რაიონის მრეწველობამ ოთხი წლის დავალება 20 ოქტომბრისათვის შეასრულა, წლის ბოლომდე დამატებით გამოშვებული იქნება 11 მილიონი მანეთის პროდუქციაც. არის მიღწეული სოფლის მეურნეობაშიც. ხუთწლედის განვლილ პერიოდში 20 პროცენტით გაიზარდა მარცვლეულის, 18 პროცენტით შაქრის ჭარხლის, 68 პროცენტით ხორცის წარმოების მოცულობა. წარმატებით მუშაობენ რაიონის სამშენებლო და სატრანსპორტო ორგანიზაციები.

შემდეგ დეპუტატი ლაპარაკობს ხაშურის საფეიქრო-საგალანტერეო ფაბრიკის საქმიანობაზე, სადაც თვითონ მუშაობს. ამ ახალგაზრდა კოლექტივში, რომლის მუშაკთა საშუალო ასაკი 28 წელია, ბევრ კარგ შრომითს ტრადიციას ჩაეყარა საფუძველი. წარმოების მოცულობის ზრდის ტემპმა ხუთწლედის განვლილ პერიოდში 35 პროცენტი შეადგინა, შრომის ნაყოფიერება კი გაიზარდა 62 პროცენტით. საგულისხმოა, რომ წარმოების მოცულობის მთლიანი ზრდა მიღწეულია შრომის ნაყოფიერების ზრდით. აქ 580 კომუნისტური შრომის დამკვრელია. მიმდინარე წელს წარმოებული მთელი პროდუქციის 58 პროცენტი ხარისხის ნიშნიანია. ფაბრიკაში დანერგილია ხარისხის მართვის კომპლექსური სისტემა.

კოლექტივში ინერგება მრავალდახგოსანთა თაოსნობა. თვითონ დეპუტატმა მეათე ხუთწლედში მეცხრე ხუთწლედთან შედარებით 33 პროცენტით გაზარდა დაზგადანადგარების მომსახურების ზონა.

ამასთან ერთად ფაბრიკის კოლექტივს ბევრი სიძნელე ელობება წინ. როდესაც ფაბრიკის მშენებლობის პროექტი სრულდებოდა, აღნიშნა დეპუტატმა, მხედველობაში არ იყო მიღებული ხაშურის კლიმატური პირობები.

როდესაც ფაბრიკის მომავლის ამოცანებს ვიხილავდით, ჩვენ ვეძებდით შესაძლებლობებს დაზგადანადგარების რაციონალური გაწლაგებით და მცირეოდენი რეკონსტრუქციით დაგვედგა 20–25 საფარდე მანქანა. ეს დამატებით მოგვცემს 3 მილიონი მანეთის პროდუქციის წარმოების საშუალებას, ამ დაზგების შესაძენად საჭიროა გამოიყოს გარკვეული ოდენობის ფულადი სახსრები. რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს და მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს ვთხოვთ დახმარებას ამ საკითხის გადაწყვეტაში.

დეპუტატ ა. ვ. შარაბიძის

სიტყვა

დეპუტატი ლაპარაკობს ამბროლაურის რაიონის მშრომელთა წარმატებებზე და აღნიშნავს, რომ ამ წარმატებებს განსაკუთრებით მყარი ნიადაგი შეუქმნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ ამ რამდენიმე წლის წინათ მიღებულმა დადგენილებამ «ამბროლაურის რაიონის შემდგომი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ღონისძიებათა შესახებ».

სწორედ ამ დადგენილების წყალობით შევძელით გეგმაზომიერად, პროგრესულად, სოციალური ასპექტების გათვალისწინებით გაგვეთვითარებინა სახალხო მეურნეობის მთელი რიგი წამყვანი დარგები, ამასთან ბევრი რამ გაგვაკეთებინა მოსახლეობის მატერიალური კეთილდღეობისა და კულტურული ცხოვრების დონის ამაღლებისათვის. საკმარისია ითქვას, რომ ბოლო ოთხი წლის მანძილზე რაიონის მუშა-მოსამსახურეთა რეალური შემოსავალი გაიზარდა 24 პროცენტით, ერთ სულ მოსახლეზე სავაჭრო მომსახურების მოცულობა 368 მანეთიდან გადიდდა 460 მანეთამდე, საყოფაცხოვრებო მომსახურება კი 27 პროცენტით. მიმდინარე ხუთწლედში აიგო 210-ზე მეტი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებისა და სამრეწველო საწარმო, 40-ზე მეტი სავაჭრო, საყოფაცხოვრებო და კულტურულ-საგანმანათლებლოობიექტი, ახალმოსახლეობა იზეიმა და საცხოვრებელი პირობები გაიუმჯობესა 700-მდე ოჯახმა, ანუ მოსახლეობის თითქმის 27-მა პროცენტმა.

ყოველივე იმის მეოხებით, რასაც ჩვენ მივაღწიეთ ეკონომიკისა და კულტურის განვითარებაში, შესაძლებელი გახდა ძირითადად შეგვეჩერებინა მოსახლეობის მიგრაციის პროცესი. ესაა ამ წლების მთელი ჩვენი საქმიანობის ყველაზე დიდი და საპატიო შედეგი სოციალურ ასპექტში, მაგრამ ჩვენთან ჯერ კიდევ ბევრი ნაკლი და „ვიწრო“ ადგილია, რომელთა დაძლევა კვლავაც დიდ და დაძაბულ მუშაობას, მეტ კომპეტენტურობას და გერგილიანობას მოითხოვს.

შემდეგ დეპუტატი ეხება რაიონში სამთო მექანიზაციის დანერგვის საკითხს და მიუთითებს, რომ აღნიშნული დადგენილებით შესაბამის ინსტიტუტებს დავალებული აქვთ შეისწავლონ რაიონში შრომატევად სამუშაოთა მექანიზაციის საკითხი და განახორციელონ ღონისძიებანი ამ მნიშვნელოვანი ამოცანის შესრულებისათვის. სამწუხაროდ, ამ მიმართებით მიუხედავად თეორიულად გადადგმული ნაბიჯებისა, პრაქტიკულად რაიმე არსებითი ჯერ არ გაკეთებულა. არა და სწორედ მექანიზაციის დონეზეა არსებითად დამოკიდებული რაიონის სოფლის მეურნეობის ხვალინდელი დღე.

დეპუტატ ბ. ბ. გუგუშვილის

სიტყვა

ხაბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმისა და უმაღლესი საბჭოს მეორე სესიის გადაწყვეტილებების შესრულება მუშთა კლასის შრომითია და გარჯით უნდა მოხდეს და ჩემი უშუალო მონაწილეობა უდიდეს სიამოვნებას მანიჭებს.

25 წელია ვმუშაობ ფოთის სავაჭრო ნავსადგურში მეამწე დოკერად, მეამაყება, რომ ბევრ ახალგაზრდას შევასწავლე ჩემი პროფესია, ამ ხნის განმავლობაში მრავალი სიხარული განმიცდია, მაგრამ ჩემს ცხოვრებაში დასამახსოვრებელი იყო შრომითი წარმატებებისათვის ამხანაგ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის წერილის მიღება, რომელმაც სიხარულთან ერთად. დიდი პასუხისმგებლობაც დამაკისრა მეც და მთელ ჩვენს კოლექტივსაც.

ნავსადგურელები პირველები გამოეხმაურეთ ილიჩოველთა ინიციატივას, გავამრავლეთ მუშური ტრადიციები და დღეს სესიას მინდა ვუპატაკო ჩვენი სახელოვანი კოლექტივის წარმატებები, რომელმაც ოთხ წელიწადში შეასრულა ხუთწლედის სახელმწიფო დავალებები და ამჟამად დგას შრომით ვახტზე ვლადიმერ ილიას ძე ლენინის 110-ე წლისთავისა და სკკპ XXVI ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის.

დეპუტატ ვ. ი. კობაბიძის

სიტყვა

ჩვენ ყველანი დიდი ინტერესით ვადევნებდით თვალს სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1979 წლის ნოემბრის პლენუმისა და სსრ კავშირის მეათე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეორე სესიის მუშაობას, სადაც ამხანაგმა ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევმა თავის მკაფიო და ვრცელ სიტყვაში მოგვცა ჩვენი ეკონომიკის, ხუთწლედის ღრმა, ყოველმხრივი ანალიზი, ასევე უახლოესი და პერსპექტიული ამოცანები, გამოავლინა ნაკლოვანებანი, გვიჩვენა მათი აღმოფხვრის გზები, პარტიისა და ხალხის წინაშე დასახული ამოცანების გადაწყვეტის საშუალებანი.

ამ ამოცანის გადაჭრაში გარკვეული როლი უნდა შეასრულოს კავშირგამბმულობის დარგმა.

ჩვენ ეს კარგად გვაქვს შეგნებული და ამ მიმართულებით იღვწის კავშირგამბმულობის სამინისტროს მრავალათასიანი კოლექტივი. როგორც შარშანდელი, ისე ხუთწლედის სხვა წლების გეგმა-დავალებანი შესრულებულია, რაც მეათე ხუთწლედის გეგმის ყველა ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების წარმატებით შესრულების საფუძველს იძლევა. მომდინარე ხუთწლედის მნიშვნელოვან ღონისძიებად უნდა მივიჩნიოთ ის, რომ 1979 წელს ექსპლოატაციაში შევიდა უახლესი ტექნიკით აღჭურვილი ავტომატიზებული სატელეგრაფო კავშირის სისტემა.

სერიოზული განვითარება პოვა კავშირგამბმულობის სხვა დარგებმაც, რაც პირველ რიგში შედეგია იმ დიდი ზრუნვისა და დახმარებისა, რასაც იჩენენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი და მინისტრთა საბჭო დარგის შემდგომი სრულყოფისათვის.

მიუხედავად დარგის ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების გარკვეული გაუმჯობესებისა, ჩვენ ჯერ კიდევ ვერ შევძელით მუშაობის ჯეროვანი გარდაქმნა, მოსახლეობისა და სახალხო მეურნეობის მომსახურების გაუმჯობესება. მომზმარებელი ჩვენს მუშაობას აფასებს არა ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების გაუმჯობესებით და გეგმის შესრულებით, არამედ მომსახურების დონით.

ამჟამად სამინისტროს კოლექტივი ზრუნავს იმისათვის, რომ აღმოფხვრას ეს ნაკლოვანებები თავის მუშაობაში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილება

საქართველოს სსრ მთავრობის, ზედამხედველობის განთავისუფლებისა და ჯანრთელობის შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცების თაობაზე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილება:

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებები:

1979 წლის 18 ივნისისა — „ამხ. ა. გ. გამხარაშვილის საქართველოს სსრ მრეწველობის სამუშაოთა უსაფრთხოდ წარმოების ზედამხედველობისა და სამთო ზედამხედველობის კომიტეტის თავმჯდომარის მოვალეობისაგან განთავისუფლების შესახებ“;

1979 წლის 10 აგვისტოსი — „ამხ. თ. ი. უჩანეიშვილის საქართველოს სსრ ხე-ტყისა და ხის დამამუშავებელი მრეწველობის მინისტრად დანიშვნის შესახებ“;

1979 წლის 16 ოქტომბრისა — „ამხ. გ. კ. ლორთქიფანიძის საქართველოს სსრ მრეწველობის სამუშაოთა უსაფრთხოდ წარმოების ზედამხედველობისა და სამთო ზედამხედველობის კომიტეტის თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის
თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის
მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1979 წლის 11 დეკემბერი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილება

საქართველოს სსრ მთავრობის, ზედამხედველობის განთავისუფლებისა და ჯანრთელობის შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცების თაობაზე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილება:

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებები:

1979 წლის 3 ივლისისა — „სახელმწიფო ნოტარიატის შესახებ საქართველოს სსრ კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე“;

1979 წლის 3 აგვისტოსი — „საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 224-ე, 240-ე და 302-ე მუხლებში ცვლილებების შეტანის შესახებ“;

1979 წლის 4 სექტემბრისა — „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ საქართველოს სსრ კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“;

1979 წლის 6 დეკემბრისა—„უკანონოდ თავისუფლების აღკვეთისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ“;

1979 წლის 6 დეკემბრისა — „სახალხო განათლების შესახებ საქართველოს სსრ კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის
თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის
მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1979 წლის 11 დეკემბერი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილება

საქართველოს სსრ მოქმედ საკანონმდებლო აქტებში ცვლილებების შეტანის შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცების თაობაზე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილება:

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებები:

1979 წლის 3 ივლისისა — „სახელმწიფო ნოტარიატის შესახებ საქართველოს სსრ კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე“;

1979 წლის 3 აგვისტოსი — „საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 224-ე, 240-ე და 302-ე მუხლებში ცვლილებების შეტანის შესახებ“;

1979 წლის 4 სექტემბრისა — „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ საქართველოს სსრ კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“;

1979 წლის 6 დეკემბრისა—„უკანონოდ თავისუფლების აღკვეთისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ“;

1979 წლის 6 დეკემბრისა — „სახალხო განათლების შესახებ საქართველოს სსრ კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის
თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის
მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1979 წლის 11 დეკემბერი.

სრულვყოთ მოსახლეობის პოლიტიკური ინფორმირება

(დასასრული).

თანადო კონტროლს არ უწევენ საგიტაციო, სალექციო მუშაობის იდეურ-თეორიულ დონეს, შინაარსს, რის შედეგადაც მას ხშირად არა აქვს კავშირი ცხოვრებასთან, აკლია შეტევითობა და ქმედითობა. ზოგჯერ ამ მუშაობაში უშვებენ ფაქტობრივ უზუსტობასა და პოლიტიკურად მცდარ აქცენტებს.

რაიონის მშრომელთა ინფორმირებას უფრო აქტიურად უნდა ეწეოდნენ რბილოული გაზეთი და ადგილობრივი რადიომაუწყებლობა, სადაც ზოგჯერ საკმაოდ არ აშუქებენ ადგილობრივი ცხოვრების აქტუალურ საკითხებს, ყოველთვის მომთხოვნელად არ არჩევენ ყველაზე დამახასიათებელ და ტიპურ ფაქტებს, არ ხდება სათანადო განზოგადოება.

მოსახლეობის პოლიტიკურ ინფორმირებაში მეტად სუსტად არის გამოყენებული კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა შესაძლებლობანი.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა დაავალა საქართველოს კომპარტიის გეგეჭკორის რაიკომს, რაიონის პირველადა პარტიულ ორგანიზაციებს შეიმუშაონ და განახორციელონ მშრომელთა პოლიტიკური ინფორმირების გაუმჯობესების, მისი ეფექტიანობის ამაღლების, ფორმებისა და მეთოდების სრულყოფის კონკრეტული ღონისძიებანი. იგი უნდა ავიყვანოთ უფრო მაღალ თვისებრივ დონეზე, რომელიც შეესაბამება კომუნისტური მშენებლობის ახალ ამოცანებს. რაიონის პარტიულმა ორგანიზაციებმა, იდეოლოგიურმა აქტივმა მეტი ყურადღება უნდა დაუთმონ მშრომელთა პოლიტიკური ინფორმირების აქტუალურ ამოცანებს.

ყველა იდეოლოგიური ქვეგანაყოფის საქმიანობა უნდა ექვემდებარებოდეს სკკპ XXV ყრილობის, საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობის გადაწყვეტილებებს, პარტიისა და მთავრობის მომდევნო გადაწყვეტილებების ღრმა ახსნა-განმარტებას, სახელმწიფო გეგმებისა და ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებების შესასრულებლად რაიონის მშრომელთა შემდგომ დარაზმვას. ზეპირი პოლიტიკური ინფორმაციის ყველა საშუალება და ფორმა, იქნება ეს აგიტატორთა საუბრები, პოლიტინფორმაციები და მოხსენებები, თუ მუშათა კრებები და საწარმოო თათბირები, იმას უნდა ემსახურებოდეს, რომ ადამიანებში ბიზნიერ საზოგადოების წინაშე შრომითი მოვალეობის, შრომის ოსტატების პატივისცემის, დაუდეგრობისა და არაკეთილსინდისიერების ყოველგვარი გამოვლინებებისადმი შეურიგებლობის შეგნება.

უნდა უზრუნველყოთ პოლიტიკური ინფორმაციის მაღალი იდეურ-თეორიული დონე, მიეღწიოთ, რომ პოლიტინფორმატორების, აგიტატორების, ლექტორებისა და მომხსენებლების მაღალი იდეურ-თეორიული დონე მთლიანად გამომდინარეობდეს ლენინური პრინციპებიდან: იყვნენ მასების შუაგულში, იცოდნენ მათი განწყობილება, ესმოდეთ ადამიანების, შეძლოთ მათთან დაახლოება და მათი ახსოლუტური ნდობის მოპოვება, გაუძღვნენ შრომელებს დასახული მიზნებისაკენ, ახალი წარმატებებისაკენ.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა დავუთმოთ აგიტატორთა, პოლიტინფორმატორთა, ლექტორთა და მომხსენებელთა კადრების შერჩევას, გულდასმით შევისწავლოთ თითოეული კანდიდატური, მისი თეორიული მომზადების დონე, მორალური თვისებები. საჭირო ავამაღლოთ პირველადა პარტიულ ორგანიზაციათა პასუხისმგებლობა იდეოლოგიური კადრების შერჩევისათვის.

მნიშვნელოვან გაუმჯობესებას საჭიროებს მუშაობა საგიტაციო-პროპაგანდისტულ აქტივთან. დროულად უნდა მოვახდინოთ მისი ინფორმირება, ვიზრუნოთ მათი თეორიული დონისა და მეთოდიკური ოსტატობის ამაღლებისათვის, რეგულარულად ჩავატაროთ მუდმივმოქმედი სემინარის მეცადინეობა, სისტემატურად განვაახლოთ მისი პროგრამა დროის მოთხოვნების გათვალისწინებით. უფრო აქტიურად უნდა განვაზოგადოთ და გავავრცელოთ აგიტატორთა, პოლიტინფორმატორთა, ლექტორთა და მომხსენებელთა საუკეთესო გამოცდილება.

პარტიის რაიკომმა სისტემატური მკაცრი კონტროლი უნდა დაუწესოს ადგილებზე პოლიტიკური ინფორმირების შინაარსსა და იდეურ მიმართულებას, მოისმინოს ხოლმე აგიტკოლექტივების, პოლიტინფორმატორთა ჯგუფების, ლექტორთა ჯგუფების ხელმძღვანელების ანგარიშები რაიკომის ბიუროს, პირველადი პარტიული ორგანიზაციების ბიუროების სხდომებზე, პარტიულ კრებებზე.

ძირეულად უნდა გარდაიქმნას პარტიის რაიკომისა და საზოგადოება „ცოდნის“ ადგილობრივი ორგანიზაციის მომზხსენებელთა ჯგუფების, ლექტორთა ჯგუფების მუშაობა, განმტკიცდეს ჯგუფების შემადგენლობა მოწინავე კომუნისტებითა და კომკავშირელებით, პარტიული, საბჭოთა მუშაკებით, სპეციალისტებით, მოეწყოს ერთიანი პოლიტდღეები პარტიის რაიკომის, სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს პასუხისმგებელი მუშაკების, სამეურნეო კადრების მონაწილეობით.

პარტიის რაიკომს დაევალა გარდაქმნას საცხოვრებელ ადგილას პოლიტიკური ინფორმირების მთელი სისტემა, გამოყოს აგიტატორები, დიფერენცირებულად მიუდგეს მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფს, უნარიანად შეახამოს აღზრდის მასობრივი და ინდივიდუალური ფორმები, ამ სამუშაოში უფრო ფართოდ ჩაბას ის სოფლის ინტელიგენცია; ოპერატიული რეაგირება მოახდინოს რაიონის ცხოვრებაში წამოჭრილ პრობლემებზე, რათა არც ერთი საკითხი, რომლებიც მშრომელებს აწუხებს, უპასუხოდ არ დარჩეს; დროზე შენიშნოს ახალი ტენდენციები, გამოძებნოს საარსებო ამოცანების გადაწყვეტის ყველაზე სწორი გზები და საშუალებები.

პარტიის რაიკომი, სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭო მოვალენი არიან გააძლიერონ ყურადღება რაიონის კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების მუშაობისადმი, უფრო ღრმად ჩასწვდნენ მათს საქმიანობას, უფრო რაციონალურად გამოიყენონ მათი შესაძლებლობანი მშრომელთა პოლიტიკური ინფორმირების გაუმჯობესებისათვის.

რაიონული გაზეთის „შრომის დროშისა“ და ადგილობრივი რადიომაუწყებლობის რედაქციებს დაევალათ მნიშვნელოვნად გააფართოონ ქვეყნის, რესპუბლიკის, რაიონის საშინაო და საერთაშორისო ცხოვრების შესახებ ინფორმაციათა თემატიკა, მოიცულობა და გეოგრაფია, აამაღლონ გამოქვეყნებული მასალების, რადიოგადაცემების ინფორმაციული შინაარსი, იზრუნონ გამოსვლების ოპერატიულობისათვის, დამაჯერებლობისა და ხელმისაწვდომობისათვის. (საქინფორმი).

ქალაქი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ახალგაზრდობის საქმეთა მუდმივი კომისიის თავმჯდომარის დეპუტატ ნ. შ. ჭასაქის მოხსენების გამო

დეპუტატ ა. ა. ძიძიგურის

სიტყვა

ახალგაზრდობასთან დაკავშირებული პრობლემები საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის და საბჭოთა მთავრობის უუდმივი და განსაკუთრებული ზრუნვის საგანია. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ახალგაზრდობის საქმეთა კომისიის მიერ წარმოდგენილი ანგარიში შეტყველებს იმ მნიშვნელოვანი მუშაობის შესახებ, რაც რესპუბლიკაში წარმოებს მომავალი თაობის კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდისათვის. ამასთან ერთად მსურს რამდენიმე საკითხი დავსვა, რომლებიც შეეხება სტუდენტ ახალგაზრდობას.

ერთ-ერთ ძირითად საკითხად მიმაჩნია სტუდენტთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება რესპუბლიკაში. ამ მხრივ მდგომარეობა არ არის სახარბიელო. ჩვენი დედაქალაქი განიცდის საერთო საცხოვრებლების მწვავე ნაკლოვანებას. მაგალითად, საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში სწავლობს დაახლოებით 26 ათასი სტუდენტი. მხოლოდ დღის განყოფილების სტუდენტებისათვის ინსტიტუტს საერთო საცხოვრებელში ესაჭიროება 9500 ადგილი, დღეისათვის კი მხოლოდ 900 ადგილია. ასეთი მდგომარეობა ძლიერ ართულებს სტუდენტთა სწავლის, ცხოვრებისა და დასვენების ორგანიზაციას. დანარჩენი რამდენიმე ათასი სტუდენტი ცხოვრობს ქირაო ბინებში, ბევრი მათგანის თავისუფალი დროის გამოყენების ორგანიზაცია ინსტიტუტს არ შეუძლია. ამის შედეგად ზოგჯერ სტუდენტთა ნაწილი არაკეთილსინდისიერ, უწესო ადამიანებისა და უარყოფითი მოვლენების გავლენის ქვეშ ხდება. ასეთი მდგომარეობის გაგრძელება ყოვლად დაუშვებელია. წელს მიღებულია გადაწყვეტილება სტუდენტთა საერთო საცხოვრებლების მშენებლობის შესახებ. ინსტიტუტს გამოეყო ადგილი სოფელ დიდი დიღმის ტერიტორიაზე საერთო საცხოვრებლის ასაგებად 6,5 ათასი სტუდენტისათვის. ვთხოვთ ჩვენი რესპუბლიკის ხელმძღვანელობას, იგი ჩვენი რესპუბლიკის უმნიშვნელოვანეს მშენებარე ობიექტად მიიჩნიოს.

ასევე ერთ-ერთ ძირითად საკითხად ვსახავ ინტელექტუალურ-ფიზიკურ შრომის ურთიერთობის, ინტელექტუალურ-ფიზიკურ შრომის ურთიერთობის, ინტელექტუალურ-ფიზიკურ შრომის ურთიერთობის ... ეკონომიკური ... ეკონომიკური ... ეკონომიკური



მუსიკალური კადრების სამჭედლო

დღეს, 14 დეკემბერს თბილისის ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და बალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში გაიმართება თბილისის სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის 80-იი წლისთავისადმი მიძღვნილი შემოქმედებითი საღამო.

სწორედ ამ თარიღს ეძღვნება კონსერვატორიის რექტორის სულხან ცინცაძის წერილი, რომელსაც ქვემოთ გთავაზობთ.

თბილისი ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია, რომელიც 1917 წელს დაარსდა, ერთ-ერთი უძველესია ჩვენი ქვეყნის უმაღლეს მუსიკალურ სასწავლებელთა შორის.

ჩვენი სამშობლოს ფარგლებს გარეთ იცნობენ თბილისის კონსერვატორიის აღზრდილებს. — საკავშირო თუ საერთაშორისო კონკურსების ლაურეატებს ე. ვირსალაძეს, ლ. ისაკაძეს, ზ. სოტკილავას, მ. ქასრაშვილს, საქართველოს სახელმწიფო სიმღერებიან კვარტეტს, სტუდენტთა კამერულ ორკესტრსა და სხვებს.

თბილისის კონსერვატორიის დაარსებასთან დაკავშირებული არიან სახელგანთქმული მუსიკოსები ზ. ფალიაშვილი, დ. არაყიშვილი, ნ. ჩერეპნინი, მ. იპოლიტოვ-ივანოვი. უმაღლესი სასწავლებლის შექმნის პირველ წლებში ახალგაზრდებს მუსიკის ხელოვნებას აზიარებდნენ გამოჩენილი ქართველი პედაგოგები ა. თოლაშვილი და ა. ვირსალაძე. მათთან ერთად კონსერვატორიის კედლებში მოღვაწეობდნენ ცნობილი პოლონელი პიანისტი ლ. ტრუსკოვსკი, ე. რიადნოვი, ო. შულგინა, ე. ვრონსკი, ი. აისბერგი, ს. ინშვილი, მევიოლინე მ. ვილშაუ, ვიოლონჩელისტი კ. მინიარ-ბელორუსჩევი და სხვები.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ დიდი სამამულო ომის წლებში თბილისში მოღვაწეობდა მოსკოველ პროფესორ-მასწავლებელთა დიდი ჯგუფი, მათ შორის კ. იგუმნოვი, ა. გოლდენვეიზერი, ს. ფეინბერგი, ა. გაუკი და ე. გუზიკოვი.

ომისშემდგომ წლებში იხვეწებოდა და სულ უფრო სრულყოფილი ხდებოდა სასწავლო პროცესისა და სამეცნიერო მუშაობის სხვადასხვა ფორმები. ახალი კათედრების ჩამოყალიბება თუ კაბინეტების გახსნა, თეორიული კონფერენციების ჩატარება თუ სპეციალური სალექციო კურსების შემოღება საშუალებას იძლეოდა კონსერვატორიის კედლებში აღზრდილიყო მაღალ-პროფესიულ, ნიჭიერ შემოქმედთა მთელი პლეადა.

მეტად მნიშვნელოვან ფაქტად იქცა 1952 წელს საოპერო სტუდიის აღდგენა. სტუდია, რომლის მუშაობას უშუალოდ ხელმძღვანელობდა საოპერო მომზადების კათედრა, სულ მალე ვოკალურ-სცენური ოსტატობის შესანიშნავ სკოლად გადაიქცა.

შემდგომში, სტუდენტთა ძალებით, სისტემატურად ეწყობოდა და დღესაც ეწყობა საშეფო კონცერტები რესპუბლიკის მშრომელებისთვის.

კონსერვატორიის პროფესორ-მასწავლებელთა დიდმა ავტორიტეტმა განაპირობა, რომ ჩვენი პედაგოგები დ. ბადრიძე, ა. ჩიჯავაძე, ე. ისაკაძე, თ. გომელაური, ი. ბერიძე, მ. იაშვილი და სხვები, სხვადასხვა დროს ნაყოფიერ პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდნენ საზღვარგარეთ.

განსაკუთრებით საინტერესო მოვლენებით არის აღსავსე კონსერვატორიის ცხოვრება უკანასკნელ წლებში. ლენინგრადსა და მოსკოვში დიდი წარმატებით ჩატარდა საოპერო სტუდიის გასტროლები, რომელზეც წარმოადგინეს გუნოს „ფაუსტი“ და ჩაიკოვსკის „იოლანტა“.

ჩამოყალიბდა სტუდენტთა საშემსრულებლო კოლექტივები, მათ შორის, ქალთა გუნდი და კამერული ორკესტრი. ამ უკანასკნელმა სულ ახლახან ბრწყინვალე გამარჯვება — ლაურეატის წოდება და ოქროს მედალი მოიპოვა „დასავლეთ ბერლინში გამართულ ჰერბერტ ფონ კარაიანის ფონდის საერთაშორისო კონკურსში.

კონსერვატორია კვლავაც აგრძელებს ინტერნაციონალურ ტრადიციებს. მას მჭიდრო შემოქმედებითი კონტაქტები აქვს ჩვენი ქვეყნის და საზღვარგარეთის კონსერვატორიებთან. დადებულია ხელშეკრულება მოსკოვის, ბაკოსა და ერევნის კონსერვატორიებთან თანამშრომლობის შესახებ.

აღსანიშნავია მეგობრული და შემოქმედებითი კავშირები პრაღისა და ბუდაპეშტის კონსერვატორიებთან, ვაიმარის მუსიკალურ აკადემიასთან.

თბილისის კონსერვატორიამ თავისი არსებობის მეექვსე ათწლეულ გადააბიჯა. და დღეს მისი პროფესორ-მასწავლებლები და სტუდენტობა კვლავაც ინტენსიურად იღვწიან საბჭოთა მუსიკალური ხელოვნების შემდგომი აღმავლობისთვის. მთელი ჩვენი სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის საუკეთესო სახელმძღვანელო დოკუმენტია სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება — „შემოქმედებითი ახალგაზრდობასთან მუშაობის შესახებ“.

ეჭვი არ არის, რომ კონსერვატორიის კედლებში აღზრდილი ქართველ მუსიკოსთა მომავალი თაობა კიდევ მრავალჯერ ასახელებს ქართულ მუსიკალურ ხელოვნებას.

ს. ცინცაძე,
კონსერვატორიის რექტორი, რესპუბლიკის სახალხო არტისტი, სახელმწიფო და ფალიაშვილის სახელობის პრემიების ლაურეატი, პროფესორი.

მიზანი — უღრეჯლო ცა

მშვიდობის მომხრეთა ხაკავშირო კონფერენცია

მტკიცე მშვიდობა და ხალხთა უშიშროება, საერთაშორისო დაძაბულობის შენელება, გამალებული შეიარაღების შეწყვეტა და განიარაღება — ასეთია ყველა კეთილი ნების ადამიანის მისწრაფება. მშვიდობის მომხრეთა მსოფლიო მოძრაობის პირველ რიგში არიან მუდამ საბჭოთა ადამიანები. მშვიდობისათვის ბრძოლის შემდგომი გააქტიურების საკითხების მიეძღვნა საკავშირო კონფერენცია, რომელიც 12 დეკემბერს გაიმართა მოსკოვში, კავშირების სახლის სვეტებიან დარბაზში. კონფერენციაში მონაწილეობდა ჩვენი ქვეყნის ყველა რესპუბლიკის, მხარისა და ოლქის ათასამდე წარმოგზავნილი.

პრეზიდიუმში იყვნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ბ. ნ. პონომარიოვი, შრომის მოწინავეები, მეცნიერებისა და კულტურის თვალსაჩინო მოღვაწენი, საზოგადოებრივი, პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების წარმომადგენლები. აქვე იყო მშვიდობის მსოფლიო საბჭოს დელეგაციაც. საბჭოს პრეზიდენტის რ. ანდრას მეთაურობით.

კონფერენციის მონაწილეებმა [illegible] „ბრეჟნევი — ლენინის საქმის ერთგული მემკვიდრე“ [illegible] ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს [illegible] ანგარიში — [illegible] ეროვნული [illegible] ეთაურობით.

საანგარიშო მოხსენება წაიკითხა საბჭოთა კავშირის მშვიდობის დაცვის კომიტეტის თავმჯდომარემ აკადემიკოსმა ე. კ. ფედოროვმა.

კონფერენციაზე გამოვიდნენ მშენებელთა ბრიგადირი, სოციალისტური შრომის გმირი მ. ა. ლაზარევი, საბჭოთა კავშირის მშვიდობის დაცვის კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, პოეტი ა. ა. სურკოვი, სსრ კავშირის კოსმონავტი მფრინავი, ორგზის საბჭოთა კავშირის გმირი გ. მ. გრეჩკო, მსოფლიოს ჩემპიონი ჭადრაკში ა. ე. კარპოვი, მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქი პიმენი, სსრ კავშირის სახალხო არტისტი ი. ო. გორბაჩოვი და სხვები.

კონფერენციის მონაწილეებს მიესალმა რ. ჩანდრა, (საკდესი).

...ომაღლებენ კვალიფიკაციას

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიული და საბჭოთა მუშაკების კვალიფიკაციის ამაღლების კურსებზე დამთავრდა მსმენელთა მორიგი ნაკადის — სახალხო დეპუტატთა სასოფლო და დაბა საბჭოების თავმჯდომარეთა სწავლება.

ერთი თვის განმავლობაში მსმენელები სწავლობდნენ სკკპ თეორიისა და პოლიტიკის, კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკის, ზოგადეკონომიკური წარმოების ეფექტიანობისა და მუშაობის ხარისხის ამაღლების თანამედროვე ეტაპზე პარტიის ეკონომიკური სტრატეგიის, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის საგარეო-პოლიტიკური საქმიანობის, თანამედროვე მსოფლიო რევოლუციური პროცესის აქტუალურ პრობლემებს.

განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1979 წლის ნოემბრის პლენუმის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XVII პლენუმის, სსრ კავშირის მეათე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეორე სესიის მასალების შესწავლას.

რუსთავში, გორში, ყვარელსა და სიღნაღში გამსვლელ პრაქტიკულ მეცადინეობებზე მსმენელები სწავლობდნენ საბჭოების ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობის ფორმებსა და მეთოდებს.

დასკვნითს მეცადინეობაზე გამოვიდნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე ვ. სირაძე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი. (საქინფორმი).

ადვოკატის საპატიო მისია

პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებათა მიხედვით ადვოკატურის აქტუალურ ამოცანებს ეეძღვნა რესპუბლიკური სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია, რომელიც საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრომ მოაწყო.

კონფერენციის მონაწილეებმა განიხილეს ახალი კანონი ადვოკატურის შესახებ, რომელიც სსრ კავშირის მეათე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეორე სესიამ მიიღო, განიხილეს, საკითხი თუ როგორ სრულდება საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „კონსტიტუციურ მოთხოვნათა შესასრულებლად რესპუბლიკის ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმის ორგანიზატორული საქმიანობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“.

მოხსენებები გააკეთეს რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრის მოადგილემ ლ. თალაკვაძემ, ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმის მდივანმა ო. ზაიჩიკმა, რესპუბლიკის დამსახურებულმა იურისტებმა მ. ალხაზიშვილმა და ზ. გიგინეიშვილმა. (საქინფორმი).

საპატიო წოდებათა მინიჭება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით ქართული მუსიკალური ხელოვნების დარგში და თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო მუსიკოსთა კონსერვატორიაში ნაყოფიერი მუშაობისათვის მინიჭებულ საპატიო წოდებები:

საქართველოს სსრ სახალხო არტისტისა:

შვედოვს დიმიტრი ნიკოლოზის ძეს — პროფესორს. **შიუკაშვილს** ევგენ ნიკოლოზის ძეს — პროფესორს.

საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწისა:

არაქელოვს ქრისტეფორე არაბოს ძეს — დოცენტს, **გელაძეს** ალბერ ნიკოლოზის ასულს — დოცენტს, **დავლიანიძეს** ედგარ ბინიამინის ძეს — დოცენტის მოვალეობის შემსრულებელს, **მუსელიშვილს** გივი გიორგის ძეს — დოცენტის მოვალეობის შემსრულებელს, **ჩიჯავაძეს** ოთარ ლონგინოზის ძეს — დოცენტს.

საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტისა:

არაქელოვს ერნსტ ვაგრის ძეს — უფროს მასწავლებელს, **ბასილაძეს** ეკატერინე დანიელის ასულს — უფროს მასწავლებელს, **ბარჩიას** ვიქტორია ევგენის ასულს — უფროს მასწავლებელს, **ბაკაძეს** რევაზ დიმიტრის ძეს — დოცენტის მოვალეობის შემსრულებელს, **მოხიძეს** შალვა ილარიონის ძეს — უფროს მასწავლებელს, **სიბაშვილს** ირინე ალექსანდრეს ასულს — დოცენტის მოვალეობის შემსრულებელს, **ფარიშვილს** ოთარ იოსების ძეს — დოცენტის მოვალეობის შემსრულებელს, **ხეგალს** სიმონ ფილიპეს ძეს — დოცენტის მოვალეობის შემსრულებელს, **ფავლენიშვილს** ალექსანდრა ალექსანდრეს ასულს — დოცენტის მოვალეობის შემსრულებელს, **შანშიაშვილს** ჯემალ ზაქარიას ძეს — დოცენტის მოვალეობის შემსრულებელს, **ჩერქეზიშვილს** ნინო ევგენის ასულს — უფროს მასწავლებელს, **წვერავას** ირინე ივანეს ასულს — უფროს მასწავლებელს, **ხელაშვილს** ოლიმპ იოსების ძეს — უფროს მასწავლებელს, **ხუბუტიას** ნანა პავლეს ასულს — უფროს მასწავლებელს.

საქართველოს სსრ უმაღლესი სკოლის დამსახურებული მუშაკისა:

თოფურიძეს ელენე კლიმენტის ასულს — დოცენტის მოვალეობის შემსრულებელს, **სავჩენკოს** ნიკოლოზ ვასილის ძეს — დოცენტის მოვალეობის შემსრულებელს, **სლიანოვა-მიზანდარს** დაგმარა ლევანის ასულს — დოცენტს, **სოლომონიას** ილია ანდრიას ძეს — დოცენტს, **ყორღანოვას** ბარბალე ანტონის ასულს — დოცენტს.

საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკისა:

გიორგობიანს მარინე მიხეილის ასულს — არქივარიუსს, **კაპანაძეს** ვენერა შალვას ასულს — სასწავლო ნაწილის თანამშრომელს, **კუზანოვას** თინათინ სერგის ასულს — კადრების განყოფილების უფროს ინსპექტორს, **ჰიბაძეს** ნინო სამსონის ასულს — სასწავლო ნაწილის თანამშრომელს, **ყორდანიას** მერი მიხეილის ასულს — სასწავლო ნაწილის თანამშრომელს.

...ოლეგი კვალიფიკაციას

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიული და საბჭოთა მუშაკების კვალიფიკაციის ამაღლების კურსებზე დამთავრდა მსმენელთა მორიგი ნაკადის — სახალხო დეპუტატთა სასოფლო და დაბა საბჭოების თავმჯდომარეთა სწავლება.

